ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №02.11.09/10/088

ქ.თბილისი 20 ივლისი 2015 წ.

ერთის მხრივ, ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის ვახტანგ ქიზიყურაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „აკადემპროექტი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ კვაჭანტირაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია-რაიონის ტერიტორიაზე, რაზიკაშვილის ქუჩა №2-ში საყრდენი კედლისა და სანიაღვრე ქსელის მოწყობის, 300 არაგველების ქუჩა №22-ში საყრდენი კედლის მოწყობის, მე-2 სამრეწველოს ქუჩა №97 ს/სკოლის უკან საყრდენი კედლის მოწყობის და ე.წ. „ორთაჭალის ტურფის“ მიმდებარედ მდინარის ჩამონგრეული ჯებირის აღდგენის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად;

2.2. CPV კოდი 71320000.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 9 800 (ცხრა ათას რვაასი) ლარს, მათ შორის: რაზიკაშვილის ქუჩა №2-ში საყრდენი კედლისა და სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა-1 000 ლარი, 300 არაგველების ქუჩა №22-ში საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა-4 000 ლარი, მე-2 სამრეწველოს ქუჩა №97 ს/სკოლის უკან საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა-1 800 ლარი და ე.წ. „ორთაჭალის ტურფის“ მიმდებარედ მდინარის ჩამონგრეული ჯებირის აღდგენის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა-3 000 ლარი;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღის განმავლობაში..

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2 გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების თანამშრომელ(ებ)ი და შესაბამისი დარგის კურატორი გამგებლის მოადგილე.

6. ტექნიკური დავალება და მომსახურების გაწევის ვადა

6.1. რაზიკაშვილის ქუჩა №2-ში საყრდენი კედლისა და სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა:
- ტოპოგრაფიული გეგმა;
- კონსტრუქციული ნახაზები;
- ხარჯთაღრიცხვა.

6.2. მე-2 სამრეწველოს ქუჩა №97 ს/სკოლის უკან საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა:
- ტოპოგრაფიული გეგმა;
- კონსტრუქციული ნახაზები;
- ხარჯთაღრიცხვა.

6.3. 300 არაგველების ქუჩა №22-ში საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა:
- გეოლოგიური გამოკვლევა;
- ტოპოგრაფიული გეგმა;
- კონსტრუქციული ნახაზები;
- ხარჯთაღრიცხვა.

6.4. ე.წ. „ორთაჭალის ტურფის“ მიმდებარედ მდინარის ჩამონგრეული ჯებირის აღდგენის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა:
- გეოლოგიური გამოკვლევა;
- ტოპოგრაფიული გეგმა;
- კონსტრუქციული ნახაზები;
- ხარჯთაღრიცხვა.

6.5. საპროექტო დოკუმენტაცია (წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (4 ეგზ) და ელექტრონული ვერსიის სახით (პროექტები PDF, ხარჯთაღრიცხვები EXCEL ფორმატში);

6.5 შესასრულებელი სამუშაოებისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით;

6.6. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ზედამხედველობა სამუშაოების განხორციელების პროცესში, კონსულტაციების გაწევა, საჭიროების შემთხვევაში სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების კორექტირება და შესასრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება;

6.7. მომსახურება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2015 წლის 20 აგვისტო;

6.8. მიწოდების ადგილი: ისნის რაიონის გამგეობა, მის. ნავთლუღის ქუჩა №8-1.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2015 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;
14.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე;
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
14.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ისნის რაიონის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1

ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი TRESGE22
საიდენტ. კოდი 208 204 959

გამგებელი

----------ვ.ქიზიყურაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „აკადემპროექტი“
მის. ქ.თბილისი, ლუბლიანას ქუჩა №4
სს „ბანკი ქართუ“

ა/ა GE07 CR00 0000 0003 5536 05

კოდი CRTUGE22
საიდენტ. კოდი 202 232 397

დირექტორი

---------- ა. კვაჭანტირაძე